


140
1975

საქართველოს
სპორტის კავშირი



სპორტის კავშირი

2
1975



ჭე, მიპუღო!

ჭე, მიპუღო, გრძობა შენი მოვლისა
მარად ვეფლა ჩვენთაგანის ვაღია,
სანამ გმირმა შენთვის სული დალია,
სთქვა: „სამშობლო, უპირველეს ვოვლინა!“
არ მოშიძარს ქარისა და ათევისა,
ვოველ ჩვენთანს ურვევ მისნად ვესება,
მხოლოდ შენთვის თავდადების შეგნება:
მამულს გული, უპირველეს ვოვლინა!
შეგ ჩაქრება ვეფლა სისხლიმწოველისა,
შეგ ამოვა ვეფლა დანაგრულისა,
წამებად იქნას ვოველ დავრდილ ცულისა:
გამორეფება, უპირველეს ვოვლინა!
ღე, ბრწყინავდეს დრომად თვითველისა
ხაქართველოს მკურდი ორდენოსანი,
მინა მიწა, მისი მშე სხევისანი,
ის გვივარდეს, უპირველეს ვოვლინა!

ქ. მამუღო

საქართველო - სამშოო საპროტეპლო

ღვთ სუბროტულო
ჯანოქოთ თეფუბი

თავისმშობლი, სხევისმეფანრა,
მთისარ, ვის არა ტეპილი სსსელი,
მისთვის რომ ვარდა შევინსება! —
შენა სარ, ჩემა გულის გამსსელი
ბეღინეუბის მისხეონებლად...
მეფარეუბი — დმუროს ჯეგვი უბრ,
უბრითი კი მტკერი ვარ, მკვერდი
და შენს სახესე დიდილი ორე,
მამინ დამტეპბრი სედილით უღერი!
შენს წმინდა ნათელს მარად ვეწმევი,
გულში სამხილად რომ დარჩეულა.
აბა, მიიღე ჩემა ლექსემა,
შემაგეფანტო სამხასეულად.
შე დავითავდე გულში ვირტემა,
ვეფლა თოთილზე ლექსი გეწმევი.
დიდი მრძოლვებით გემკვირდები,
ინდელს, საკოცხლე ვერ მოვავლეულს!
და დღესაც შენი მანდორ-ბილვი
მინანქრთა, ველამქართა.
გვას საქართველო ვარდის თიღებთა,
სღემა რომ ნამოვადამდებრთა!

18733

ქ. მამუღო
საქართველო

Handwritten signature

**კიბე
გვიჩვენებს
რაგონს
იქცა**



**საქართველო
საბჭოთაო**

1933 წლის 28 თებერვალს — საბჭოთა არმიის დღეს — მე-6 მსოფლიო კორპუსის 91-ე მსროლელი ბრიგადის მე-2 მსროლელი ბატალიონის კომკავშირლებმა შენიხილეს საკითხი: რა უნდა ეღონათ საბჭოთაო დაავლების უკეთ შესასრულებლად. დაავლებული კეპტონდრაქტორი დაავლების აღება, რომელიც მტერმა თავის ძლიერ დასაყრდენ პუნქტად აქცია. მაშინ წითელარმიელმა ალექსანდრე მატროსოვმა თქვა: ურტყამ მტერს, სანამ ხელში იარაღის დაჭერა შემძლეა, სანამ ჩემი ული ფეოქავს“.

განთიადისა კვეგანაუოფი იერიშზე გადავიდა. მაგრამ მტრის ძლიერიურიდან ტუვიამტრკვევის ცეცხლმა გვა გადაუღობა მეზარძოლებს. წინ აწევა მთელ კვეგანაუოფს დაღუპვას უქადა. სწორედ ამ დროს ალექსანდრე მატროსოვი ძელ-მიწურთან მიცოცდა და ამბრაზურას გადაეფარა. საბჭოთა პატრიოტმა გმირული თავგანწირვით ამხანაგებს გვა გაუხსნა და უზრუნველყო საბრძოლო ამოცანის წარმატებით შესრულება. გვარდიის რიგითი ჯარისკაც ა. მ. მატროსოვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა სიკვდილის შემდეგ. უკვდავი გმირის გვარი სამუდამოდ ჩაიწერა მისი სახელობის გვარდიული მსროლელი პოლკის 1-ლი ასეულის სიაში.

ჩვენო არმიავ,
შენი მაღალი
დროშის კალთების დამკოცნელები
მიპყიენებდნენ მტერს გულმაგარი
ჩემი მამაცი ნაღმტყორცნელებიც.
მათ ახლაც ვეხედვ:
პირშიშველ ბიჭებს —
თვრამეტწლიანებს,
ცხრამეტწლიანებს,
გულცეცხლიანებს,
ხმამეწყრიანებს,
და ერთმანეთთან ძმადწენაფიცებს.
ჭაბუკ მეომრებს დიდი მამულის,
ვაჭევილთ სტეპთა,
ველთა და მთათა —
პოპოვს, ნენაშევს, სოპოვს,
მამაივს —



პიონერი

2

თეატრალი

1975

საქართველოს კლკ მ.კ.ი.ს. და ვ. ი. ლენინის
სახელობის ნორკ პიონერთა რეპარაიონითი
კლკპიონერი საჭოს
ყოველთვიური სააპრეპრ პრადელი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კავ. მ.კ.ი.ს. გამომცემლობა

ჩემი ოცნება

**თაიფურავს
ჯანაულაფვილი**

ჩუეავს, იაკუტს,
რუსსა და
თათარს.
სიკვდილი არად მიანდათ მამაცთ —
მათ დააშინეს თვით შიშის ლანდიც;
ოცდაერთი წლის ლეიტენანტი
ლამის მიმიღეს ძიად თუ მამად.
და მეც იმათით ვიმაგრე სწორედ,
ვიარე გზები გრძელი და შირი.
მათი ნატყორცი ნაღმების შუქით
ავანთო დიდი სიმღერა ბრძოლის.
ჭეხუნდენ მშობელი ქვეყნის მცველები
და შემართება ჰქონდათ გმირული.
და გუმინდელი პიონერები
გულთან ბილეთით კომკავშირულით
ვედარ მალოდენენ,
ვით სვატში წყურვილის,
კომუნისტებად გახდომის სურვილს.
გადავუჭოლეთ ვისლას და ოდერს
და ცხრა მისმა იშუკა ოდეს,
და ჩაირთვა მტერმა წვეულმა,

მიილო მთავარსარდლის მაღლობა
ნაღმტყორცნელების იმ ოცულმაც —
ცეცხლში ნაწრთობმა ასაღავარდობამ.
რა დრო გასულა!
მეოცდაათე
წელი ჩამოგვა იმ დღეთა შემდეგ
მე დღესაც მათზე ფიქრით გაავთვე,
ვხედავ მათ, — რიგითს,
სერჟანტს
და ზემდევს.
მე ისევე ვხედავ ოცულს ჩემსას —
ჯარისკაცთ, შრომის ფრონტებზე
მდგომებს

მჭედლებს,
მთევველებს,
ზეინკლებს,
მწყემსებს,
უკვე ჭალარაგერულ ლომებს,
და მიდის რავლი მათგან ნაჭედი,
პური იმათი
ხელით მოწეული,
ჩემი სამშობლოს მრავალ მხარეში
იბრძვის და შრომობს ჩემი ოცულს“.



ყარსლებს

«საღუსი, გაგარჟება!»

იხმინოს „კინონის“ შველ გკითხველმა
გამულაზა ვიჟორინა-კონკურსი

„კინტორულ გერმანიაზა გაგარჟების ჰი წლისთავი“
ვაჰვანუხათ გოლო ებაკის კითხვას

25. საგამულო ოში საგაროლო დამსახურახისათვის ოის შოგდოშ
წლები წოვლას კართვლას გენარალს მიილო საგოთა კავშირის
გირის წოვლას?

26. კომული გირი ჟალაგეი იშით? კოლოს მიჰაუთჟეს ათ ეს წო-
ვლას?

27. კომდენ ხანს გრადლეგოდა ლენინგარის გლოკად?

28. გარგჟების ნიუნად კოლოს ინა კიჰვლად მიტჰული სალუი?

29. დანსახლეთ საგარდო ორდენები.

30. საგამულო ოში კომული ჰჰუენის საგარდო შინაგოეი იგ-
კოლდენ ჰეინ არიის გარდამარ?

31. დანსახლეთ საგოთა არიის საგოეები. კომულ მითგანეი ის-
უჰვადით სამსხურს ლა კადოშ?

32. დანსახლეთ საგოთა კავშირის გირი ჰალეი.

33. დანსახლეთ გარჟების ხელშეკრულების მონაწილე საგარდო-
ფოეი.

ას ლ სიჰჰვა თჰჰენუხათ, გავჰვებო!

კიდე ერთხელ გოდათელოგოთ 1974 წლის №№ 11, 12 და
წლევანდელი პირველი ნომერი „კინონი“. კიდე ერთხელ შეგმოწ-
მეთ თჰენეი პასუხები ვიქტორინა-კონკურსში დანსმულ კითხვებზე
და პასუხს ნუ დავვიგოენებთ.

შეგახენებთ ჩენს მისამართს:

თბილისი, 380008, ლენინს ქ. № 14, „კინონი“. ვიქტორინა-
კონკურსისათვის.



ბესსკვეულეს
ულთ სიბუღეი
და ჰალდოეი!





ზაზა
ბანელაშვილი

მხატვარი
ზაზა
ბანელაშვილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მთხრობა



ჩვენი უბნის ბიჭები ყველანი იქა ვართ ხოლმე, სადაც საქმეც კეთდება და მზიარულუბაც არის. საქმეს კი, აბა, რა გამოიღვეს.

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ საქმეს კი არ ვაკეთებთ. პირიქით, ვაფუქებთ. მაგრამ, ჩვენი ზრით, ეს მანაც ვაკეთებდა ნიშნავს. რას იზამ, ჯერ ხომ გასაზრდელები ვართ და პუჟაც ვაკლია. ვიცით, რომ უნდა გავიზარდოთ, ვისწავლოთ, დავევაქაცდეთ და კაცობის ქული დავიხუროთ. — ასე ვფიქრობდა შალვა სააწავლებელი. ყარგა ხანია, რაც არღადეგები გვაქვს, მაგრამ ის მანაც არ გვეშვება, ისევე გვარიგებს. ესა და ეს წიგნი წაიკითხეთო, ასე და ასე მოიქეცითო; დამრიგებლობას არ იშლის. ჩვეიც ვუსმენთ, ყველაფერში არა, მაგრამ ძალიან ბევრში კეთანძვებით.

პაპაჩემი თვედორე და შალვა მასწავლებელი დიდი მშაკაცები არიან. ჩამოსხდებიან ერთად განმარტოებით და ბაასობენ. თუ ახლოს მიხვალ და უფრო დაუდგები, სმენით ვერ გააღლები. მსჯელობენ, რაღაცას უმტყიცებენ ერთმანეთს, იხსენებენ სიკაბუჯეს და სახეგაბადრულები ხითხითებენ. ხანდახან ცხარედაც კამა-

თობენ. უფრო ხშირად ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ფილოს აკრიტიკებენ — ვერ უძღვება საქმესო...

რამდენჯერ გავმხდარვარ მოწმე, როცა პაპაჩემი და ფილო ერთმანეთს ყოჩებივით ერქინებინან.

— არა ხარ მართალი! — უმტყიცებს პაპაჩემი.

— რატომ? — წარბებს იჭმუნხის ფილო.

— არ უნდა გავგვერანებინა ეს ბაღნარები!

— გამგეობამ დაადგინა!

— შეცდომით დაგიდგენიათ! — ულვაშს ხელისგულით ისწორებს პაპაჩემი და ბარის ტარს მაგრად ემზინება, ემზადება კამათისათვის. ფილო კი გასაქცევადაა, არ უშვარს პაპაჩემთან ლაპარაკი.

— თუ დაადგინეთ, უნდა მოგველოთ კიდევ! — არ ცხრება პაპაჩემი.

ფილომ დელოს პირ-პირ რაც ახლები ჰქონდათ გლეხებს, ყველას ჩამოართვა, მიწის ფართობი ზედმეტრ გაქვით. ჩამორთმეულ ბაღა-ბაღებს, სადაც ყოველ წელიწადს იხუნდებოდა კიტრა ვაშლები, მისის ბუბები, გულაბი მსხლეტი, მსხვილმსხვილი კომშები და ათსანარი ჯი-

შის ქლიავი, შემოარღვიეს ღობეები და ისე გაპარტახდა, რომ ავ თვალსაც კი დაენახებოდა. პაპაჩემი სულ ამაზე ედავებოდა.

ფილო ჯიბრში ეღგა პაპაჩემს, ვერ იტანდა, თავისი ნათქვამი რომ არ გასლიოდა მასთან.

— ეგ მიწა სახელმწიფოსია! — ულვაშებს აცმატუნებს ფილო.

— სახელმწიფოსიათ, რომ ამბობ, ეგ მეც კარგად ვიცი, მაგრამ სახელმწიფო აშენებდას და აუვავებას გავიღვებს, ეს რატომ ვერ შეისმინე! — ხელის ქნევით იმუქრება თვედორე პაპა. ნირწამხდარი ფილო კულამოძუებული მიდის.

თვედორე პაპა სხვა რამეებზეც ედავება ხოლმე ფილოს: სერები რად გადახანი და ძოხებს საბალახო ადგილები რატომ მოუსპო, ურძილ როგორ დაეზარდოთ ბაღლები ან სოფლადა, ან ქალაქადო, ერთი სიტყვით, პაპაჩემი სულ კრიტიკაში უღვას ფილოს...

ჩვენი ბაღი ზედ დელოს პირზე, დაქნებულ ფერდობზე აღმა-დაღმა გაქმული. შიგ რა გინდა, რომ არ ხაზობდეს. როცა ხეხილი მწიფს, მიირთვი, რაც გსურს, პირსაც გაიგემირებლებ და სულსა და გულსაც დაირტკობ.

ქვემოთ, სადაც ღლეე ჩამორაკაყებს, სამი დიდი ბაღი დგას, მათ ქვეშ ქობია, სიტყვაში პაპაჩემი იქ ისვენებს ხოლმე. ჩვენი კი — მე და ჩემი ამხანაგები, წყალს ვაგულებთ — გვინდა ააბანაო აუზო მოვაწყვიოთ, მაგამო არ გამოვდვით, აწწოლსა და ქვის ჯებრის წყალს ვერ ავაყვით. ერთმანეთს ტალახით ვთუხუნიოთ და

ჭინკებივით დაეხტივართ. პაპაჩემს კი მკერდი გავლდია, ცივი წყლით სავსე დოქი გვერდით უდგას და დროადარბო ყელს იგრავლებს.

ღელის წყალი კამპაა, წმინდა. ფერად-ფერადი ქაქუჩები და ქვები ალმასის თვლებივით ბრწყინავენ შივ. წინათ, სანამ მთის წყალს გამოიყვანდნენ, მთელი სოფელი ღელის წყალს სვამდა და ახლაც არავინ ამბობს უარს კლდეებში გამოთავიან ცივ წყაროებზე. ხანაზან შოფრებს მანქანები ჩამოჰყავთ და რაცხავენ, შეთითა და ბენზინით გვიტუქყიანენ ბევრ ღელს. ჩვენ ამას დიდ ყურადღებას არ ვუქცევთ, მაგრამ თვედროე პაპა ბობოქრობს ხოლმე, შოფრებს გრძელი საბრით ერეკება — ქვევით წვადით, იქ გარეცხეთ მანქანებით. ისინი კი თავისიან გაიძახიან, ქვევით სამანქანო. გზა არ უდგებათ. ეკ ჩემი საქმე არ არისო, ისევე ბრაზობს თვედროე პაპა. შოფრებიც, ბოლოს და ბოლოს, სათრის აღარ უტეხენ თვედროე პაპას.

პაპაჩემს ყველა იცნობს რაიონში. იგი სამამულო ომის სახელოვანი მონაწილეა. მისი სიმაჰაცის ამბებსაც თუ მოისმენ, ვაიცილებით, რომ თვედროე პაპა ცოცხალია. თორმეტჯერ დაიჭრა და მაინც ვაღარჩა.

ყოველივე იმას, რაც ომში გადახდა, პაპაჩემი ისე ჰყვება, გვეგონება, ეს ყველაფერი გუმიბ მონღოა. მის სახეზე ნაოჭები უფრო ღრმადდება, თვალები ცეცხლით ევსება და გამხდარ, დაკუნთულ სახეზე ნაცრის-ფერი გადაჰკრავს ხოლმე... მაგრამ სულ სხვა თვედროე პაპა ბართი ან თოხით ხელში, ვერ წარმოიდგენ, რომ ამ კაცმა, ავტომატმომარჯვებულმა, ბერლინამდე მიიღწია და იქ გამარჯვება იჩივია.

შინ დაბრუნებულმა ორ ათეულზე მეტი შრომა-გარჯით სავსე წლები გადათვალა და ახლა თავის ბაღში ნებეზრობს. უთხარეს, ახლა მაინც დაისვენეთ. მაგრამ რა დაასვენებს, სანამ თვალში სინათლე უდგას და მუხლში ძალა ერჩის — ხეხილს ასარებს, ბაღს აყვავებს, მიწის შვილი მიწას ბერძვის.

— ბიჭო, გულად! — მეძახის პაპაჩემი, — წყალი გათბა დოქში, ცივი წყალი ამომობენინე!

წყაროს წყალზე ვაბუყებუყებ დოქს და პირამდე გაეხებულს მივარბენინებ.

— გაიზარდე, შვილო! — მლოცავს პაპაჩემი.

— გელა, გელააა! — ზემოდან იძახის სეირანი, ვერ ბედავს ჩვენთან ჩამოსვლას, იცის, რომ წყალში ამოვლუპავთ და ისე გავუშვებთ შინ. სეირანი, რომ შევიძლოს, სეოლაშიაც

არ ივლიდა ჩვენთან ერთად, მაგრამ მეტი რა გზა აქვს. ჩვენს სოფელს დიდი სეოლა აქვს, სადაც მეზობრელი სოფლებიდანაც დადიან მოსწავლეები, და სეირანი ვინ არის, რომ არ იაროს. მერე რა, რომ ას-ლანის ბიჭია!

— რა გინდა, სეირან? — ქვემო-დან უბასუხებს გელა.

— მაშაჩემმა თქვა, საქმე მაქვს და მალე მოვიდესო!

— ახოვე მოვალ, — გელამ სწრაფად ჩიიცვა და აღმაბრთი აირბინა.

ავტომანქანა „ვოლგა“, რომელშიც სეირანი და გელა სხედან, აღმადამა დაქრის. საქეთსან სეირანი ზის, საყვირის გაბმით აშიპინებს. ცალი ხელი გარეთ გამოუყვია, ერთი ხელით მართავს საქეს. ბიჭები შური ით უყურებენ. რომელიმე მათ სთხოვოს, სეირანი არც ერთს არ ჩასვამს „ვოლგაში“, ასე ეტყვის: გაიყიდოს მამაშენმა მანქანა და იქროფო, რამდენიც გინდაო. იციან ეს ბიჭებმა, ამიტომ არც ერთი არასოდეს არ

სთხოვს სეირანს, მანქანით მისეირნეო, და სეირანს ესევე აბრაზებს. გულზე სკდება, რომ ბიჭებმა მის ჭრიბის ყურადღებას არ აქცევენ.

— ვინ ანღობს ამ ლოპას მანქანის მართვას?! — ბუბუბუბო თვედროე პაპა. — ის ბიჭი, ამ ბოლო დროს, მაიონ აპყვა, — ამბობს გელაზე, — არ მომწონს ეს, სულ ასლანის ენოში ტრიალებს, ხან წყალი მიაქვს, ხან მანქანას რეცხავს...

ზემოდან ასლანი მოდის, მოიზლახუნება, მსუქან სხეულს ძლივს მოათრევს.

— შვილიე მამაა გამოცხადებულ-ლი! — ამბობს თვედროე პაპა.

ასლანი აქეთ-იქით იყურება, მანქანას ეძებს, რომ ვერ ხედავს, ნერვიულად ცქცუვს, ალბათ უყვრის, რომ მისი „ვოლგა“ ხევის წყალში არა დგას და გელა არ რეცხავს. მანქანა თვედროე მოქრის, აღმართს შემოვლდა და ასლანის წინ გაჩერდა.

— რატომ არ გარეცხეთ მანქა-



ნა? — შვილი კი არა, გელას უბრაზ-
ლება ასლანი.

— თეფლორე პაპა არის აქ! — ამ-
ბობს თავჩაწეული გელა.

— რა შუაშია თეფლორე პაპა? —
უაზროდ აპარპალებს ასლანი თვა-
ლებს.

— ხევის წყალს ნუ ატუტყიანებ-
თი, არავის უშვებს.

— ვინ ჰქვითავს მაგას! — ლო-
ყები ებერება ასლანს და მუქარით
იყურება ჩვეყენ. პაპაჩემი კი შვი-
ლად ისეამ თითო ულგამებზე ხელს,
მაგარი გვრნობს, რომ მზადაა და-
ქეუხოს. ასლანმა კარგად იცის მისი
ხასიათი, ამიტომ აღარაფერს ამბობს,
ბუზღუნით ჰგებამაქნაში.

— ჩვენ აქ დავჩრთნა, ბიჭებთან!
— ეუბნება სერანს გელა. — შინ
რა უნდა გავეთო, მერე ფეხბურ-
თიცი ვითამაშოთ!

— არა მცალაო, მამაჩემი ყურ-
ყურაზე მიიღს საჭიფოდ, მეც უნ-
და გავყვე. წამოიღი შენც, თუ გინ-
და, — ემატრება სერანი გელას.

— გელას სხვა დროს წაიყვანს,
ახლა დარჩენს, მაგას ერთი საქმე და-
ვაგალო! — კარი მიიკახუნა ასლანმა
და მახანძა მთელი სისწრაფით აღვი-
ლიდან მოსწყდა, აღმართი გუბუნით
აირბინა და სახლებს მოეგუბო.

— გელა! — ეცხობა მე.

— გელა ჩვენთან ბრუნდება. ისე
ვიყიყურებს, თითქოს რაიმე დანაშა-
ული ჩადინოს ჩვენს წინაშე.

— გელა! — ეუტინი მე, — იცი
რა გადაწყვეტილები ბიჭებმა?

— რა? — ნაღვლიანად მეკი-
თხება.

— კლუბში კინო ვაყვანს, „შესა-
ნიშნავი შვიდეული“, გელანნი შივ-
დივართ, შენც წამოხვალ?

— არა!
— მე გუბატრებიც!

— რომ მიზლოდეს, ისედაც შე-
ვალ, მაგრამ არა მცალაო.

— რა საქმე გაქვს?

— ძია ასლანმა დამავალა, სლაე-
მოზე სახერხ ქარხანაში ჩადი და იქ
ვათვი დამე, ბიარამამ ხის მასალა
არავის დაატანოსო.

— ვინ არის ბიარამა?

— სახერხი ქარხნის ყარაულია.
ძია ასლანს მისი ვაგდება უნდა,
ჭურდი და „ქულოკიოა“, ასე ამ-
ბობს. ახლა დანაშაულზე უნდა წა-
სწროს.

— ეგრძნობ, რომ გელას ძალიან
უჭირს, თორემ არაფერს მეტყოდა.
რაკი მიიბნა, დავასყენი, რომ არ
უნდა სახერხ ქარხანაში წასვლა.

— ნუ წახვალ, გელა! — ვეუბ-
ნები.

— ასლან ბიძიას ეწყინება!
— თუ ეწყინება, ეწყინება. შენი

რა არის?

— არა, შენ არ იცნობ ასლან ბი-
ძიას, კარგი კაცია. მიიბნა, სახლში
იატყა რომ არა გაქეთ, თიარას მოგ-
ცემთ და ღურგალსაც მე გამოგიგ-
ნავნითო.

— მაშინვე გელათან სახლი ვამხსენ-
და, კრამიტით დახურული ერთად-
ერთი ჭურჭტორის თათხი.

— მერე, არ გეშინია? — ვეკი-
თხები.

— რისა?

— ბიარამასი. თუ ავზაყია, შეიძ-
ლება ხიბაფთვი ვაგხვიოს!

— იცი რა, — გაუბედავად მეუბ-
ნება გელა, — ასლან ბიძიამ მიზნო-
ვა, გარდაიდ ცუფთვალთვალ, ეს კი...
კაცის დაბეზღებას ნიშნავს. იმასთან
ერთად რომ ვყოფი, ისიც არავის ვა-
ტანს, მიხვდება, რომ მე ვიტყვი
ყველაფერს. ასე კი, გეგონება, ჯა-
შუმი ვიყო, აი, კინოებში რომ გვი-
ნახავს, ისეთი.

— გელას სიმწრის ოფლმა დაასხა,
თაველიან გაუფართოვდა, იგი ჩემგან
შეუღას მოელოდა.

— რაც იქნება იქნება, ნუ წახ-
ვალ! — ვაღაჭრით ვეუბნები.

— არ გამოვა-მეთქი! — შუბლზე
ხელით ოფლს იშპრალეხს.

— მაშინ, მოდი მეც წამოვალ, ერ-
თად ვადგინოთ თვალ...

— გელას სახე გაუბრწყინდა.

— დღონდ სხვაგან არაფერი წა-
მოვტყდე! — მფთობილებს. და ისევე
ბიჭებთან ერთად ვეუბნებამაობთ ხე-
ვის წყალში. მერე აწლისა და თი-
ხის ჯებირას ვშლით და ისევ ახალს
ვაკეთებთ, ისევე ვშლით და კვლავ
ვაკეთებთ, გვიხსნა ღრმა იყოს წყა-
ლი, მაგრამ არაფერი გამოგვიდის.

— აწული და თიხა ვერ დააკავეს
წყალს! — სულ ამას ვეუბნებდა თე-
ფლორე პაპა.

ჩვენც ვიცით ეს, მაგრამ სხვა მა-
სალა ჩვენ არ გავაჩინა. ყოველ
აშენებზე, მართალია, წყალი მთლიან-
ანაღ არ გუბდება, მაგრამ უქეთესი
ჯებირი გამოგვიდის, ამიტომაც, რომ
ახალ ჯებირს უფრო დიდი მიზნო-
ებშით ვაშენებთ და ვამაგრებთ.

— ლამდება, მე და გელა მარტოდ
დავრჩით. ბიჭები სახლებში წვიოდ-
ნენ, ჩვენ კი სახერხი ქარხნისავე
ვაპირებთ წასვლას. შინ ჩვენებს ვუ-
თხართ, ამ ლამეს გელასთან ვათე-
ვებო, გელამ კი ეთერი დღიდას
უთხარა, ამჟამ ვგულადთან დავრ-
ჩებიო.

— ვაუშლქმით გზას, ნელი ნაბიჯით
მივდივართ, არ გვეჩქარება.

— გელას თუნდაც ცხრა მთას იქით

ვაგვეყვინო. ისიც ასევე მოიტყვეა, ჩე-
მი გულისათვის თავს დასდებს, შე-
ნი წყალი, რაც ერთ მერხზე ვხსნო-
ვართ, მერვე ულასშიც ასე იყო, მე-
ცხრეშიც და მეთათშიც ერთად ვის-
ხლებით. მერე, თუ ერთ უშარლეს
სასწავლებელში ჩავაბნებოთ გამოე-
დებს, იქაც ვვერდი-ვევერდ დაესხე-
დებით, არასლოდ დავეშორდებით ერთ-
მანეთს, არა წობია ამას.

— გელას ყველა ვერ უშვებს, იმი-
ტომ კი არა, რომ მიმივე ხასიათის
ბიჭია. არა! ის თითქმის ყოველთ-
ვის ნაფლოიანია, იმეოლიანია იცი-
ნის, თავი სულ სერიოზულად უჩი-
ნებს, ეს კი ბიჭებს არ მოსწონთ და
ჰგონიათ, რომ გელა უქმური და
უტყებია. და მაინც გელა ყველას უყ-
ვარს, მასწავლებლებსაც და მოსწა-
ურებსაც. შალვა მასწავლებელი სულ
ასე ეუბნება ხოლმე: თუ სწავლას
გაპყვები, უქმეობდა კარგი მტკვარ-
ი ან მოქანდაკე დადგებიო. გელას
ოქროს ხელი აქვს, ყველანი აღტ-
ყებულნი ვართ მისი ხანატებითა და
ნაძიქვით.

— ვიცი, რატომაც აწვევს გელას გულ-
ზე ნაღვლი და რატომაც ყოველთ-
ვის გაუტინარი. იგი თავის დღიდას-
თან მარტო ცხოვრობს. ერთი წლი-
საც არ იყო, რომ მამამ მიატოვ-
ოჯახი და მისი აღზრდა მარტო დე-
დად იყოსრა, — უთერი დღიდამ. ეთე-
რი დღიდა ხშირად ავადმყოფობს,
ამიტომ გელას ბევრჯერ ვაგვიტოლე-
ბოთ კი ვაუცოდნია, მაგრამ არც ერ-
თი მასწავლებელი არ გამბრაზებია —
ყველამ იცის, რომ ეთერი დღიდას
გულის მასეც აქვს.

— მთავარიან ლამეა, ვარსკვლავები
ციმციმებენ. შორიდან რადიოს ხმა
ისმის. მთელი სოფელი გაჩირალდ-
ნებულა, სახერხი ქარხნის გზოში
კი ერთადერთი ნათურა ანთია. გარ-
შემო სინებულეა. შიგნით კი არავინ
ჩანს. ჰემოკართან კაცის სილუეტს
შევიწინებთ, ალბათ ბიარამა მუშ-
ტარს ელოდება.

— ბემოზე მოვეწყვეთ, აქედან ყვე-
ლაფერი ხელსაგულივითა ჩანს.
თვალს ვადგენებთ მანქანებს, გზაზე
რჩი მიმოჭრიახ. სახერხ ქარხნისაკენ
არც ერთს არ გაუხვევია. ვფიქრობ
თუ ვინმე უნდა მოვიდეს სახერხ
ქარხანაში, ის უშეველად გვიან მო-
ვი, როცა სოფელი ძილს მიეცემა.

— გელა ისევე რალავაზე ფიქრობს.
ვატობ, ვთვებით იგი სხვაგანაა,
სენა დღუძაბავს.

— რადიოს ხმა ჩვენამდე კარვად აღ-
წევს. მუსიკას ვაღმოსცემებ. გელა
თავდავიწყებით უმსენებს, გარინდული
ზოი, არ იმბრევა. მეც დავძაბე სენ-
ნა. ორკესტრის ხმას ნელ-ნელა ვა-
მოვიყო ვიოლინოს ნარნარი ბგერები.

სასიამოვნო, სევდიანი მელოდია იყო...

კარგა ხანს ისმოდა ვიოლინოს მელოდია. მერე ისევ მთელი ორკესტრი აპყვა და გელა შეტკვდა, თითქოს შესცივდაო, ისე შეაჯანკალა. კრინტი არ დამძრავს, მივხვდი, რომ გელას გულში რაღაც მძიმე განცდა ტრიალებდა...

მუსიკა შეწყდა. დიქტორმა უკანასკნელი ცნობების კითხვა დაიწყო. გელა გამოერკვა. შემომხედა, მაგრამ მე განზრახ თვალი ავარიდე, ქვევით ვიყურებოდი, ვითომ არაფერი შეგხეინებოდა.

— არ უსმენდი, გულად?
— რას?
— მუსიკას.

არ ვიცოდი რა მეპასუხა, მაგრამ მაინც სიძარტლე ვუთხარი:
— კი, ვუსმენდი.

— მერე? — შემომანათა თვალუბი გელამ, — არაფერი ვიგრძენია?
— რა უნდა მეგრძნია?
— აი, თუნდაც... იცი რა, არაფერი წარმოგიდგა თვალწინ?

— არა! თუმცა კი ვიგრძენი, რომ მუსიკა სევდიანი იყო. — ვუთხარი.
— ხომ იგრძენი? — თვალუბი უფრო გაუფართოვდა გელას. — იცი, მე რა წარმომიდგა თვალწინ? აქცილებლად დაეხატაუ ასეთ სურათს: პატარა ბიჭს ვიოლინო ძალიან უყვარს, მასზე დაკვრა მეზობელმა მუსიკოსმა ასწავლა. ჰოდა, ამ ბიჭს მამა არა ჰყავს. მიატოვა მამამ ოჯახი. მერე დედაც ერთ ყვივიან ზამთარში გაცივდა და... კუბოს, რომელიც სახილარზე დევს, არავინ მიჰყვება მოხუცი მუსიკოსისა და ბიჭის გარდა. დაასფლავეს. მევიოლინე ბიჭი საფლავთან დგას და მუსიკის ნაღვლიანი მელოდითი თხოვნება დედას...

ეთერი დედა გამახსენდა, ერთ წუთს წარმოვიდგინე, რომ... მაგრამ დროზე შევიცადე არასასიამოვნო ფიქრების მომზობება და გელას მივიმართე:

— გელა, იცი რა...
გელამ არ მაცალა აზრის დასრულება.

— მე აი ასეთი მუსიკა უფრო მიყვარს, რატომ, არ ვიცი. გულად. ნუ გიკვირს, რასაც გუნებინებ: დედაჩემს რომ რამე მოუვიდეს...

გელამ თავი ჩარბო მუხლებში და აქვიბინდა.

ალარფერი მიოქვამს მისთვის. ვიფიქრე, რომ ასე ატობებდა. ასეთ დროს ადამიანს არ უნდა შეუშალო ხელი, ჯობია თვითონ დაიხიროს გულის ჯავრი...

ასეც მოხდა. გელამ თვალუბი შემშრალა და თავი ასწია. წამოდგა,



ჩემთვის არ შემოუხედავს, ისე მიიხტრა:

— შინ წავიდეთ. ალბათ დედაჩემს არ სძინავს და მე შელოდებ. უხმოდ მივდილიდი. გელამ დაარცხვინა, ალბათ თავისი გულჩვილობის შერცხვა, თაგალუხული მოდიოდა...

— გულად, — მომიბრუნდა უყვებ. — შენც წამოდი ჩემთან, დედაჩემს ძალიან გაუხარდება, ამაღამ ჩენსას დაიძინე.

— წამოვალ!
ლაპარაკი თანდათან აფეწყვეთ, გელა მიმტკიცებდა, ვენერაზე, თურმე, ხალხი ცხოვრობსო, მე კი არ ვეთანხმებოდი. ეგ ჯერჯერობით არ არის დადგენილი, მაგრამ, იხე, მეცენიერებ ფიქრობენ, რომ ვენერაზე სიცოცხლე არის-მეთქი.

ჩვენს კამათი იმ დიდმა ვარსკვლავმა გამოიწვია, რომელიც შორის ჰორიზონტთან აკაშაშემდა, სხვა ვარსკვლავები კი შედარებით პატარები

ჩანდნენ. ფიზიკის მასწავლებელი ყოველთვის გვეუბნებოდა, რომ ის კაშკაშა ვარსკვლავი პლანეტა ვენერააო.

ინისია, ცხელი მზით გააკაშაშებული ინისია. მიკუბი ტყეში მივლივართი. იქ, დიდ კლდეებში, ისეთი ყვითელი ქანებია, რომ შუეზე ლაპლაპებს. იმ ქანებისაგან სხვალსხვა ფიგურების გამოქერწვა ძალიან ადვილია. ყველიეთი იჭრება, მაგრამ, როდესაც გამოშრება, ქვეზე უფრო მაგარია. ასეთ დროს ჩვენი მეთაური ყოველთვის გელაა. მერწვის ეინი რომ მოუვლის, იტყვის, წავიდეთ, დიდი კლდეებიდან ყვითელი ქანები მოვიტანათო. მე ყოველთვის თან მივლევ. ვჭრით ქანებს და მთელი დღე ვუკერკიტებთ. სხვა ბიჭებიც გამოგვეყვებიან ხოლმე, ზოგი ცდილობს იჭრწვა ისწავლოს, ზოგი კა-

ლათებს სწნავს ფერადი წნელები-საგან, ზოგი კი ხევის წყალში თევ-ზებს იჭერს.

გზა-გზა ბიჭები გვემატებიან. ჩვენს კრებულს მარტო მოხუცი იო-სებდა აკლია. ძალე მის სახლს ჩა-ვეუღლით და ისიც გამოვა ჭიკჭიკი, გული არ მოუთმენს — აგვედევნება.

იოსება სოფლის თავში ცხოვ-რობს. მარტოხელაა. თოხნივე ვაჟი-შვილი ომში დაეღუპა. ქალიშვილი კი უშვე დიდი ხანია სხვა სოფელში გათხოვდა და სულ ეხვეწება, ჩემთან წამოდი საცხოვრებლადო, მაგრამ იოსება არ მიპყვება, აქ დავიხადე, აქ გავლიე ჩემი ცხოვრება და ჩემი ძეგლები ჩემი სოფლის მიწამ უნდა მიიბაროსო.

იოსება თოხმოკლდათი წლისაა უკ-ვე, ასე მეუბნება თვედროე პაპა, თორემ იოსებას თავისი დაბადების წელი რომ ჰკითხო, არ გეტყვის — დიდი ხანია წლებს აღარ ითვავსო, ასე ვიპასუხებს. აღბათ იძიებო! — არ უნდა ვიხსენოს, რომ მართლა ბებერია, ჯერ კიდევ სიცოცხლე სწყურია. როგორც კი ვინმე მისი კბილა ან მასზე უმცროსი ნაცნობ-თავანი ვარაღიცვლება, მაშინვე იკი-თხავს, რამ მოკლაო, და შემინეუ-ლი რამდენიმე დღე სახლში წევს,

კარში აღარ გამოდის; ჰკონია, სიკ-ვდილი სახლში ვერაფერს დამკ-ვლებსო. გაიდან დღეები, მისი ეზო თითქმის მიყრუებულია, ბებერი ძალიერ პატრონივით გატროხული წევს, ხმას არ იღებს. ავეულ-ჩავეუ-ლით ბიჭები სახლს გვემინა, იო-სება პაპას რამე ხომ არ უჭირს. შევ-დევართ ხოლმე ეზოში და მისი ჩა-სლიერილი ხმა გვესმის: რომელი ხარ და რა ვინაო. ჩვენ ცოცხალია, რომ იოსება პაპა ისევ ცოცხალია. მო-ვერბენინებთ საქმელს, დოქით ცი-ვი წყალი მოვყავს. იოსება პაპა გელოცავს, თქვენ გაიხარეთ, ჩემი სწორი მოიყარეთ და უფრო მეტიც მიიცოცხლებო. თან დამქნეს: მი-ქელ-გაბრიელმა ამიარ-ამიარა, მაგ-რამ ხელი არ მახლო, ჩანს, ჯერ ჩე-მი წასვლის დრო არ დამდგარაო. მერე ჩვენთან ერთად გამოდის ეზო-ში, ბებერი ძალს მივალორსება, საქ-მელს დაუღვამს, ხელს მოიჩრდი-ლებს და ტყისაკენ იყურებს.

იოსება პაპას ტყე უყვარს ძალიან. ორმოკლდათი წელი მეტყვევე ყოფი-ლა. ტყეს საუთარი ძალიან უყვლი-და. ახლა კი დაბერდა, დაჩაჩანდა და ხელს სახლში, სადღა აქვს იმის თა-ვი, რომ უზარმაზარ ტყეს უპატრო-ნოს. თითი კედელზე ჩამოუვლია და მის მაგივრად გემძლი და მსხვილი ჯოხი დაუბიჭვებია.

— გამარჯობა, იო-სება პაპა! — გავძა-ხით ეზოში მოფარ-ვატე მოხუცს.

— რომლები ხართ?

— ვითომ ტყე რა გვეცნობს, თვალგებ ეშმაკურად ახამამებს, მარაზე გამოდის, ილი-ეშება, გამზდარ სახეზე ნაოკები უთამამებს.

ჩვენ ხმაძალა ვეი-ვეივებთ და ზანს ვა-ძლევენ მისი ეზო-ბა-ნის მერცხლები. ბარ-ტყებს ბუღეებიდან თავი გამოუყვითათ, პირს სასაცილოდ აღე-ბენ — სასუნავს ელიან. მერცხლებით დახუნძლული სახლი, იოსება პაპას სახლი კი არა, მერცხლების უზა-რმაზარი ბუღეა.

— გამარჯობათ, ყმა-წვილებო, ტყისკენ ხომ არ გავწევით?

— გვეხმარება მოხუ-ცი.

— იქით მივდივართ, დიდ კლდე-ბთან.

— შორი გზა გქონიათ, ვერ ამოგ-ყვეთი იქამდე! — სინანულით ამ-ბობს იოსება პაპა და — შინც! უქამ მოავდევს.

ბებერი მხარზე თოვდაცადიღე-ბული მეტყვევ გერონტი გავივება. საით მიდინართო, გზას გვიჭრის.

— დიდი კლდეებისაკენ. — ცალ-ყბად ვუპასუხებთ.

გერონტის ჩვენი პასუხი არ მოს-წონს, ელამ თვალზეს აბრიალებს. ტყე არ გამიჩანავთ, თორემ უკ-რებს ავახვევო, გვემტუქება. ძველ მეტყვევსაც არ ივიწყებს, თავაღე-ბით ეუბნება:

— შენ რალამ ავახუნტრუცა, ბე-რიაცაო! არ გეყო, რაც ამ სატილო ტყეში ეხეტებოდო! დაჯები შინ, ხომ ხელდა, წალკავი გჭირს, არასდ დე-ცი, სული არ ამოგძვრეს და ბალ-ღებს გულგები არ დაუხებო! — გე-რონტი ხითხითებს, კობტაა თითე-ბით გაბაჩვგლულ სახეს იფხანს და ელამთ თვალგები აქეთ-იქით გაურ-ბის.

— ჩემზე ნუ უწუხარ, გერონტი. რაც გაბარია, იმაზე იზრუნე, თორემ თუ ამოგიძუეს კული, ძალდასკ არავინ მიგიღებს! — ეუბნება იოსე-ბა პაპა.

— შენი ჭკუის სწავლებლა მაკლ-და, ქარიხალამაივ! — ისევ ხითხითებს გერონტი.

ნელ-ნელა მივდივართ. ზოგიერთ წინ-წინ ვარბის, შეავე ტყემალს კრეფს, ჩიბებს ისებს და ჩვენც გვიწილადებს. მოხუცი კი გველაპა-რაკება და გველაპარაკება — გვიამ-ბობს საინტერესოსაც და სასაცი-ლოსაც. ხანდახან გაჩერდება, ხელ-ჯოხით მოხაზავს გზაზე საქართვე-ლოს რუკას, გვეუბნება, აქა და აქ ვიყავიო, ესა და ესა ვნახეო, რა არ გადამხდაო. ჩვენც ვჯერა, ყურდაც-ქვეტილები უქმნება.

მეუბნევილად მივაღექით დიდ კლდეებს, ხეზევ გადავდით და მუ-ხების კვეშ დასასვენებლად ჩამოხ-ხედით. მოხუცი დაიქანდა, არაქათი აღარა ჰქონდა. ცოტა რომ დაისე-ნა, ისევ აღამარავდა:

— ეს მუხები ჩემი გახარებულია. შვილებივით დავზარდე. თქვენ არ იცით, ყმაწვილებო, ეს რა ადგი-ლია?! — მრავლისმთქმლად აღმო-თა ხელი იოსება პაპამ და მუხები საითთაოდ დათვალა:

— ერთი, ორი, სამი, თოხნი... მე-ხუთე ბერმუხაა, ორასი წლისა მა-ინც იქნება. შეხედეთ, ნამეხაროც არის, იმიტომდა ფრთამოტეხილი არ-წივივით. ჰოდა, ერთ მშვენიერ-დღეს ვნახე, მენი დასცემოდა. გე-





ნახევრებიანა და ცეცხლს შეერთუ-
სა ეს ბუმბერაზი ხე. შემეცოდა. ვი-
ფიქრე, რაღაცა უნდა ვუშველო-
მეთქი, მაგრამ რას უშველო, რით
უწამლებო? თუმცა ამ მუხის ქვეშ,
წინათ, ისეთ ბიჭებს ჰქონდათ ხოლ-
მე თავშესაფარი, რომ პირდაპირ
ცეცხლს აფრქვევდნენ. მეფის კა-
ცები იმათ ყაჩაღებს ეძახდნენ, ჩე-
მისთანა ხალხი კი — დაჩაგრულები
ძმებსა და მოსარჩლეებს. ერთხელ
ვიღაცამ ვასცა ისინი. მოადგნენ ჩაფ-
რები ღამით, აი, იმ კლდის თავზე
ჩაუსაფრდნენ. ბიჭების წინამძღოლი
დათია იყო. ამ ბერძუნის ქვეშ ეძი-
ნა. წამოხტა, ცუდი სიზმარი ენახეო,
თქვა. ამ კლდეზე ერთი ვიწრო ბი-
ლიკი გაიღოდა, კარგად იცოდნენ ეს.
ჩუმაღ აფოფხდნენ. ჩაფრები არ მო-
ელოდნენ, ეძინათ, ალიონს უცდიდ-
ნენ. დასცხენ ბიჭებმა და სულ კუ-
ლით ქვა ასროლეს.

იოსებმა პაპამ ყველას სახელები
ჩამოთავა და სინახული დასძინა,
დღეს აღარც ერთი აღარ არის ცო-
ცხალი.

— ჰოდა, იმას ვამბობდი, — გა-
ნაკრძო იოსებმა პაპამ, — ვიფიქრე,
ეს მუხა ნაწებარია, შეიძლება ვახ-
ნეს და ეს ადგილი უმუხოდ რა იქ-
ნება-მეთქი. ახლამაშლო ჭაგებში
ნორჩი, ახლადმოწყვრილი მუხის
ყლორტები შევიწმე. ჭაგები გავ-
კაფე, ამით კი გზა მივიყო, დაიბრ-
დებიან-მეთქი. აბა, შეხედეთ, რამეხ-

ლები გახდნენ, თითოეული ორმოცი
წლისა მაინც არის.

ტანაყრილი ახალგაზრდა მუხები
სიმაღლეში წაუსულიყვნენ, ბებერ მუ-
ხას კი ძვლები გაეშალა. ჩვენ მის
ჩრდილოში ვისხედით და თითოეული
ჩვენგანის ფანტაზია იმ საბრძოლო
ეპიზოდებს წარმოსახავდა გონებაში,
იმ ვაჟკაცების შეძახილი გვესმოდა
თითქოს.

— აქ არ შემოგვალდამეს, — თქვა
გელამ, პატარა წვრაქეს ხელი წამო-
ავლო და კლდის ციკაბო ფერდობ-
ზე დაიწყო აფოფხება. აი, ის ლო-
დები უნდა მოვახლიო კლდეს, გად-
მოშვებოლები რომ არისო.

— მოეფარეთ რამეს, ლოდები არ
მოგვადნებ! — გაგვადფთხილა ყვე-
ლანი.

იოსებმა პაპა და ჩვენ მუხებს ამო-
ვფარეთ. მონგრეული ლოდები ხმა-
ურით დაენარცხნენ ხევის ქვიშიან
ზედაპირზე.

გელა ძირს ჩამოვიდა, ლოდი ამო-
არჩია და ძერწვას შეუდგა. ჩვენც
დავითითოვეთ ლოდები და დავიწ-
ყეთ მუშოობა. იოსებმა პაპა გელა-
სამუშევარს ვერ სწყვეტდა თვალს,
— ოქროს ხელი გაქვს, შვილო, —
სულ ამას ვაიძახდა.

ზოგერთობებს ძერწვა არ გამო-
უვიდათ და მალე აიყარეს გული, სა-
მაგიუროდ, ხევეს ჩავიდნენ და თე-
ვაზიან დაიწყეს.

იოსებმა პაპას წასთვლიმა, მერე

ხვრიწვაც ამოუშვა. ბიჭები გაეფრ-
თხილეს, არ გააღვიძრეთ, ჩუმად იყა-
ვით-მეთქი.

არ ვასულა დიდი ხანი, რომ მან-
ქანის მოტოროს გუგუნი გაისმა. სატ-
ვირთო მანქანა დაღობრთზე ჩამოვი-
და და ხვევალმა გაჩერდა. კაბინი-
დან ასლანი გადმოვიდა, ძარაზე მე-
ტყუევი გერონტი და ლეთისო იღ-
ნეს. საქმისთან გაბრო იჯდა.

— წყალი რბამ არ არის, მანქანა
გავა! — ზემოდან ასლანს გადმოს-
ძახა გერონტი. ასლანმა მაინც მო-
ათვალიერა ფონი და ისევ კაბინაში
ჩაჯდა. მანქანა ნელი სვლით გამოვი-
და ხევეში, ჩვენს პირდაპირ გაჩერდა.
ასლანმა ბოროტად გადმოგვხედა და
მეტყუევს შეეკითხა:

— ისინი აქ რას აყეთებენ?
— გაიგებ მაგათი ტყუისას რა-
მეს? — უმასუხა გერონტი.

ისინი მუხებთან მივიდნენ, ახედ-
დახედეს ხეებს, მერე ისევ ჩვენ გად-
მოგვხედეს და აჩურჩულდნენ.

— ამაზე უკეთეს მასალას ვერ
იშოვი ჩვენს ტყეში, თანაც ზედ გზის
პირზეა, — გადულაპარაკა გერონ-
ტი.

— კარგია, მაგრამ ამით რა ეუ-
ყით? — მხრები აიწკიპა ასლანმა
და ლაზე ხელბი შემოიჩემა. — ის
ბებერიც აქაა, მაგის ყბაში ჩემი მტე-
რი ჩავარდა, დაგვებუზღბს.

მოსულეები ნერვოზულად აწრიალდნენ. ასლანი ჩვენთან მოვიდა, გელას ნახელავს დახვდა, მოუწონა, შეაჯო.

— კარგი ბიჭები არიან, საქმე უკეთაობით! გერონტი, ჩვენც არ გავაწყენდა ახალი თეხები, შეხედ ბიჭებს, არაღმინ დაუჭერიათ, — ასლანმა ახლა მეთევზე ბიჭები შეაჯო. — აბა, ღვთისო, გერონტი, თქვენებურად დატრიალდით, მანქანიდან საზნაბი გადმოიღეთ, ღვთის წყაროზე ჩაივლით, ცეცხლი დაანთეთ; მწვანე შეწვანეთ. ეს ბიჭებიც მინდა დავაბატოთ. თვედარეს შეილიშვილი, — მომპარათა მე, — შენს ამხანაგებს უნახარი, თეხზე გამოწვლინ, მარლი დაყაარონ და მამფურზე ააგონ. იჩქარეთ, თორემ შემოვაჯავამდედა.

ასლანი ქეიფს გადაყალიბო კაცი იყო. თავის „ოვლაგას“ სულ მთვარი მართავდა. ერთხელ სატვირთო მანქანას შეასვდა, ბეწვზე გადარჩა. ორი თვე საავადმყოფოშიც იწვია, მაგრამ მეტრეც ვერ ისწავლა ჰეჰა.

ახლაც ნასვამი იყო. არ გვიყვარდა ეს კაცი და არც მასთან სუფრასთან დაჯდომა გვინდოდა, მაგრამ ასლანმა დაიფინა — ამ ბიჭებს პატრიე უნდა ვიცო, და არ მოგვეჭია.

ყველანი განუღვინდით, გული არ მიგვიწყვდა იმთავთ. გელამ კი თავი ანება ძერწვას, ხევიში ჩვიდა, ხელედი დაიბანა, მერე არხვინდ გასწია ასლანისაკენ.

— აი, ყოჩაღ! — შეაჯო ასლანმა, — მოდი, ნუ გერიღებთ, ყველანი მოდი!

ჩვენ ისევ ისე ვიღებთ, ვერ გადაგვეწყვიტა, როგორ მოვქმედულიყავით.

— ბიჭებო, მოდი, ნუ გერიღებთ! — დაგვიბანა გელამ.

— მივიღებ სირცხვილს, სუფრაზე გვეპატრებიან... — თქვა გვიმ. სუფრას გაუბედავად შემოვუსხედით.

გერონტიმ მწვადები მოიტანა და სათითაოდ ჩამოგვირიგა. ღვთისმომკრებში ღვინო დაასხა. ასლანმა საესე ქეიჯ აიღო და საღვთარქმლის სათქმელად მოემზადა, მაგრამ მძინარე იოსება გაახსენდა და გერონტის უთხრა:

— იოსებოც ამოვიყვანეთ აქ, უი-მისღა წვეთს არ დაღვლი!

— იმას ზარბაზნის ქუხილიც ვერ ვაღვიძებ, — თქვა გერონტიმ. თითო ჩამოხსნა ხიდან, პაერში შემართა და დააჭებდა. მთებმა დაიზრიალეს. იოსება პაპა შეშინებული წამოვიარდა.

— აღმეკი, ბებერო, გეყვება ძილი! — დასუსვილა გერონტიმ. — რა მოხდა? — ძლივს თქვა მოხუცმა.

— აღმეკი, ძველებური გაიხსენე, რამდენი ხანია წყაროს პირზე არ გიქეიფია, მოდი, დაგვეწვიო. — ხელები გაშალა გერონტიმ.

— როდის იყო, რომ მუპატრევიზი? თავი დამაძებე, — შეუპასუხა იოსებმა პაპა და ისევ წამოწვია. ასლანი თითონ წამოვიდა, ამ მოვიყვანი, თქვა და იოსება პაპას თავზე დაადგა.

— იოსება ბატონო, გავგეჩნირა ყელში ლუკმა, ხახა გავვიძრა. გეპატრებივით და სუფრას ნუ დაგვიწობობ, ჩვენც კაცები ვართ და ქული გვხურავს.

ასლანმა იოსება პაპა დაიყოლია და ჩვენთან მოიყვანა.

გერონტი და ღვთისმომკრის გეპატრებდნენ, უკვე დიდები ხართო. იოსება პაპა კი ორივეს უდავებოდა, ბიჭებს ნუ ასმეჯოთო.

ასლანმა იოსება პაპას საღვთარქლო დაიწყო.

— გავიძარკოს, იოსება. ჭირმაგი ხარ, ბებერი წლები გულიე ამ ტყის მოვლა-პატრონობაში. დიდი საქმე გეგარა და თავიც არ შეგარებენვინა. ყველას უყვარხარ. თუ ვინმეა მხენზე ნაწყენი, ალბათ, იმიტომ, რომ წინადა ხე-ტყე არ მოგოჭრევიგინება უსაბუთოდ. მაგრამ ხაზობა ეს წყენაც დაიფიყა, იმიტომ, რომ შენც კადულ მართალი იყავი. აი, გერონტი შენს ნაფეხურზე დგას, შენი საქმე ჩააბარეს. ვინც კი სთხოვს ესა და ეს ხე მომაჭრევიგინო, ყველას მოაჭრევიგინა, მაგრამ ხალხს მაინც არ უყვარს. ასეა, ჩემო კარგო, ხალხი ბრმა არის, კანონს იცავ თუ ამრუდებ. ორივე შემთხვევაში უკმაყოფილოა. — ამ ქვეყანაზე მარტო საყუთარი თავზე უნდა იზრუნოს კაცმა... ვხედავ, არ მოგწონს ჩემი ლაპარაკი, მაგრამ ასეა. აი, მეორეხად მომწვედობა დაბლდება, ალბათ სხვანაირად იცხოვრებდი, ხომ ასეა?

ასლანი უკვე მთვრალი იყო. კანონიერად ვაღმთვრებულ საჯღოშზე ქანობდა და ხვნეშობდა.

— არა ხარ სწორი, ასლან, მეორე ცხოვრებასაც ამ ტყეს შევალევიდი! — შეუდგა იოსება პაპა. ეტკობოდა, იმასაც ღვინო მოეკიდა.

— აუჰ, ეს რამდენი დრო გასულა! — თავში ხელი შემოიჭრა გერონტიმ. — აბა, ღვთისო, შენი „ღრუძება“ ჩამოიღე მანქანიდან, თითო წუთში თითო მუხას წაყაქტევეთ. აღმეკი, არ გესმის?

ღვთისმომკრის მანქანისაკენ რყევით წა-

ვიდა. მანქანის მძღოლს ვაზირი წამოვიდა და იოსება პაპას გახრდილი ერთ-ერთ მუხასთან გახერდა, მას უკან გერონტი მიჰყავდა. ასლანმა კი საღვთარქმლის სათქმელად მოიხეჩვია ქეიჯი.

— ღვთისო, ჩქარა! — ვასძახა გერონტიმ. მაგრამ ღვინო გაბრუებულ ღვთისმომკრს არ ეჩქარებოდა. ვაზირმა დაეპარათვა ხერხი, მოტორი ამუშავა. ტყე შეზრიალდა, ფრინველები გუნდ-გუნდად წამოფრინდნენ და ხევის ვალობა, ტყის სიმწვანეში გაუჩინარდნენ. ვაზირმა ხერხი მუხას მომარკვა. ამოღობილი ხე შეტორბმუნდა, აძიგაძიგადა, პირბასარი ზერხი ელვის სისწრაჟს. ჭირდა მსხვილი ძირს.

ასლანს ქეიჯ ხელში ეჭირა, ცალი თვალი მუხის მჭრელებსაც კეინდა და ისე გველპაარაკებოდა.

— რასა ჭირან? — იცითა იოსება პაპამ და წამოსდგომად მოემზადა.

— მანქანისათვის გზას ასუფთავებენ! — მიუგო ასლანმა და ისევ თავის ადგილზე დასვა. იოსება პაპას წინიდან ბუჩქები და ხეები ვაზირებოდა. ვერ ხედავდა ღვთისმომკრს, ვაზირს და გერონტს. მე კი ისეთ ადგილას ვიჭეტი, ყველაფერს ეხედვდი და დავიყვირე:

— იოსება პაპა, ხეს ჭირან!

— ხეს მოჭირან, აბა რას მოჭირან! — გამაჩუმდა ასლანმა. — რა კარგი ბიჭები არიან, — უთხრა იოსება პაპას ჩვენზე, — ჩემს ბიჭს სულ იმას ვუბნებდი, მოიყვანე შენი ამხანაგები, თუ რამე უტორი, დავენბარებშივემთქი.

მე ვაფაციცებთ ვაღვინებდი თვალს მუხის მჭრელებს. არ ვიცო, რატომ ვაგწმუდი. ასეთი რამ არასოდეს განმიცლია — მინდოდა მთელი ხნით მიეყვინა, მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე.

უცებ ჭახანი გაისმა. ერთბაშად ხე დაბახანცდა და ზათქით მოწიპდა დაენარცა. იოსება პაპა ზეზე წამოვიარდა.

— ეს რა ქენს ამ შეჩვენებულუბმა! — დაიბახა და მუხის მჭრელებსაც გაეკანა.

— ეს რა ქენით, თქვე უღმერთობე, დაიბანებდი არა ხართ? ამ მუხას კაცი მოჭრიდა? ვინ მოგვათ ამის ნება, ვინ?! — შეუპასუხა მოხუცმა და ხელეობი მოუქნია. გერონტი განუბახტა...



ავთანდილ
ზუბაზარიძე

— იგი თქვენი ცხოვრების მატანია, — ხშირად ამბობს მადონა დეილა.

ალბომის თავფურცელზე საბავშვო ბიბლიოთეკის ექვსი მკითხველის ფორმულარია ჩაკრული. ექვსივე 1968 წლის 5 სექტემბერს არის შევსებული. მარინე ჩეკურიშვილის, ლილი ტყემალაძის, არტემ კენდურის, ლამაზა იმერლიშვილის და ნელი ქელესავეის ფორმულარებს რომ №1-ლი აწერია, ცოტა არ იყოს, ზოგიერთ ჩვენგანს გულიც გეწყდება...

„დილას“ დარბაზებში ყველა კლასს თავი ადგის აქვს გამოყოფილი.

ბიბლიოთეკაში დაწყებითი კლასის მოსწავლეებსაც ვხვდებით, ჯერ კიდევ კარგად რომ არ იციან და ფერად-ფერადი, სურათებიანი წიგნები უყვართ. მადონა დეილამ გაეცინა: „დიდ, ნათეს დარბაზში, მესამე და მეოთხე

კლასელებისათვის ანბანური და თეატრული ილუსტრირებული კატალოგები გვაქვს მოწაზადებული. პირველ და მეორე კლასელებისათვის ალბომი-კატალოგი, სკოლამედლებისათვის ვახკუენილს კი შრომა-კატალოგი ჰქვია“.

ერთ დიდ, ლამაზ დარბაზში პატარებს ხმაშალა უკითხავენ ლექსები, უამბობენ საინტერესო ზღაპრებს. აქვე ტარდება ხმაშალაი კითხვის, კითხვა-პასუხის საღამოები, მეიხვევლთა კონფერენციები, ლიტერატურული დღეები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები. ჩვეულებრივ აქ ვიკრიბებით და აქედან მივდივართ ექსკურსიებზე ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის სანახავად, ავლაბრის არალეგალური სტამბის დასათვალიერებლად, პიონერთა რესპუბლიკური სასახლის აქტივისტებთან შესახვედრად. კიდევ, იცით, რას ვგაიმბობენ ბიბლიოთეკის მატანის ფურცლებზე? იმას, რომ „დილას“ 320 კვდრატული მეტრი ფართობი უჭირავს და მის საცავში დღეისათვის 22 ათასზე მეტი წიგნი ინახება.

ბიბლიოთეკის მატანის კითხვა ყველას ძალიან გვიყვარს, მისი ფურცლები ბევრ კარგ ადამიანთან შეხვედრებს, ზეიმებს, შეკრებებს ვეახსენებს. პოდა, როგორც ყველას, მეც მიყვარს წინა წლების ამბების გახსენება.

აბა, რა დამავიწყებს „მარილის აკვანის“ ავტორთან, როდღონ ქორქიასთან შეხვედრას... თურმე, მწერალი თვითონ ყოფილა სამოქალაქო ომის მონაწილე. იქნებ, მის თვალწინ ჩაიხირა პატარა მებრძოლი მარილის აკვანში?!

ჩვენმა ბიბლიოთეკამ ამ ექვს წელიწადში კულტურის სამინისტროს ჯილდოც მიიღო. მატანეშია ჩაკრული სიგელი, რომელსაც აწერია „ე. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი, ბიბლიოთეკების სრულიად საკავშირო საზოგადოებრივ დათვალღებებაში აქტიური მონაწილეობისათვის, საბიბლიოთეკო საქმისა და წიგნის პროპაგანდის ორგანიზაციამ მოპოვებული წარმატებებისათვის.“ მასსოცხ, რა ზეიმით აღვნიშნეთ ბიბლიოთეკის მეიხვევლებმა ეს დღე...

თუ ვინმეგო, მე-18 საშუალო სკოლის მესუბეკასელების ნანა ბურდულის ჩანაწერს წავიკითხავთ.

„...არასოდეს მაგიწყდება ის დღე, როცა „დილასში“ პირველად მოვედი, პირველი წიგნი გამოვიტანე წასაკითხად...“

პატარებისათვის განკუთვნილი კატალოგის გაცნობისას დედამ მერძო მითხრა, სად რა ხასიათის წიგნები ელავა. მხიარული ლექსები, სათავგადასავლო მოთხრობები, ზღაპრები, გამოცანები და კიდევ რა საბავშვო წიგნები არა აქვთ. მერი დეილამ ჯანი როდარის „ჩიპო-

მატიანე მოგვითხრობს —
ახრობს ავთანდილი

„დილა“ და „მეგობრობის გამზირი“ ერთად დასაბუნებურად მტკვრის გამოღმა, აი, იქ, კიხოთავტარ „რუსთაველს“ რომ გამოცდებით...

ლარიეთ სწორი გზა მრავალსართულიან სასაღებს მიუყვება. აქეთვე ტროლეიბუსიც დადის და ავტობუსიც. მოსულთ ლიანა, მადონა, მერი, ლეოლა დეიდები გვხვდებიან. ღმილით გადმოგვხედავენ და...

— მოხვედით? აბა, გვიხარით, როგორ მოგეწონათ ასლი წიგნი? — მოგეზარათავენ მაშინათვე და ჩვენც ვიწყებთ წაკითხულის შინაარსის მოყოლას. „დილაში“ თუ პირველად მოდიხართ, მოსვლისთანავე წინ დიდ ალბომს გადაგიშლიან; ამ ალბომს ყველა იცნობს; მისი ფურცლები ექვსი წელია, ჩვენს თვალწინ იდგება ფოტოსურათებით, ჩანახატებით, შთაბეჭდილებებით.

ნაშთი
ჩვენი
ჭაჭურები
„მეგობრობის
გამზირი“?

ლინოს თავგადასავალი“ შემირჩია. წიგნი ძალიან მომეწონა. მას შემდეგ ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი ვარ, გავეკვილობის მომზადებას არც დავაშთავებ, მინ მხატვრულ ლიტერატურას ვკითხულობ ან „დილას“ სამკიბნელო დარბაზში მივდივარ. აქ ხშირად ეწყობა საინტერესო წიგნების განხილვა, ლიტერატურული დისკუსიები. ჩემსაკენ სხვები მიიან — ზოგი მისთვის საინტერესო წიგნს კითხულობს, ზოგი — უკრნახს, ზოგი კვლის გასულის მორიგ ნომრებს ამზადებს... შექმნილია მხარეთმცოდნეობის, სამეცნიერო, ლიტერატურული, ნორჩ ბიბლიოთეკართა წიგნები. მე ლიტერატურული წიგნის წვერი ვარ, ვეწრ პატარა მოთხრობებს. ლიტერატურული წიგნს წვერები სკოლაში ფრიადზე ესწავლებოთ მშობლიურ ენასა და ლიტერატურას.“

ახლა იმათ ჰკითხეთ, მხარეთმცოდნეობის წიგნი რომ დაიდან. ბევრ საინტერესო მოგიყვებიან. მათ წიგნს ერთერთი მეცადინეობა მცხეთაში ჩაატარეს. ჩვენი ქალაქი და მისი შემოგარენი შემოკლილი და შესწავლილი აქეთ. თელავშიც იყვნენ, მაგანადაზღვე ავიდნენ. იცით, კიდევ რას იუწყება ჩვენი ბიბლიოთეკის მატჩანი? 1971 წლის მიწურულსათვის 3205 მკითხველი ყოფილა, ახლა კი 4 ათასზე მეტია.

იესება და იესება „დილას“ მატჩანის ფუნქციები, და ბევრი საინტერესო რამ არის შიგ წასაკითხი.

წიგნები მემორიების წარწერით — ჰვიჩვანა ავთანდილმა

ჩვენი სკოლის რამზველი საბჭოთა კავშირის ყველა მომდე რესპუბლიკის სკოლასთან მეგობრობს. სკოლაში მეგობრობის კულტურა გვაქვს და კუთხე. მაგრამ მეგობრები თქვენ „დილასი“ იკითხეთ! ... ერთხელ, როცა ის-ის იყო სამინდავალების შესრულებას მოვრი, დედაქ მითხრა: „მეგობრობის გაზიზირიდან“ დაიკრებო, ბიბლიოთეკაში გიბარებენი.

... „დილასი“ სხვა სკოლის მოსწავლეებიც მოსულიყვნენ. — დღეიდან „მეგობრობის კუთხეს“ ესხნილი, ყველა ბარათი, საჩუქარი აი, ამ კუთხეში მოიყრის თავს. — გვითხრა ბიბლიოთეკის გამგებ ლიანა ოხბეთელა-შვილი და რუხანა გერთანიანის მიერ ირეგულირება გამოგზავნილი ბარათი და წიგნები გადმოგვცა.

„მომწერთ, ძვირფასებო, როგორი წიგნები გიტაცებთ. მე ძალიან მიყვარს მხატვრული ლიტერატურის კითხვა. ჩვენი ხშირად ვხვდებით მწერლებს გახუთებიდან და წიგნებიდან ბევრი რამ გავიგეთ საქართველოზე, მაგრამ

თქვენი ნაამბობი სულს სხვა იქნება. გთხოვთ ვიმეგობროთ!“ მალე მიიწე ბარათიც მივიღეთ. კონკრეტულ გამოგზავნის მისამართი ეწერა: ბაქო 3, კომისინის ქ. № 50. ფილდა გუბანოვის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკა.

„ჩვენი ბიბლიოთეკა ბაქოს 26 კომისინის სახელობის რაიონში მდებარეობს. ახლანამ მივიღეთ ახალი წიგნები; ცხარე დღეები ავუქვს, წიგნების ძველი მწიბობდა ახალიში ვიწვდებით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ 1965 წლიდან ატარებენ ჩვენი ბიბლიოთეკა „საუკეთესო მომსახურების ბიბლიოთეკის“ სახელს. ახალი წიგნთა ნათელია და მზიანი. დარბაზებიც ბევრი გვაქვს. უკვე დავიწყეთ ფედასა გუბანოვის ცხოვრების ამსახველი მუშუების მოწყობა. მასალა ჩვენი ქალაქის მცხოვრებლებმა, ბიბლიოთეკის მკითხველებმა მოგვტანეს. ახლა თქვენი მოგვწერეთ, რას აკეთებთ. გვაიხიბოვს, ბიბლიოთეკაში რა თემებზე ატარებთ შეკრებებს, ვის ხვდებით, რაზე საუბრობთ.“

აი, მოლადავეთის რესპუბლიკის ქალაქ დუბოვსკის საბავშვო ბიბლიოთეკიდან გამოგზავნილი ბარათები... მათთან ერთად ჩავატარეთ დაუსწრებელი ვიქტორინა, მკითხველთა კონფერენცია. გასაზრავნი კითხვები ჩვენ თვითონ შევადგინეთ.

პასუხებმაც არ დაახანა. წიგნებთან ერთად წიგნებიც მივიღეთ. მეგობრებს მიწერეთ რუსთავე, მის ცნობილ მეფელადღებზე, „დილას“ მეგობრებზე, მის ახალ წიგნებზე, ჩვენს მიერ გაბართულ შეკრებებზე, შესხედრებას და ზეიმებზე, იმ საქალაღებზე კი, რომელსაც აწერია, „მეგობრები ყველგანა გვყავს“. და კიდევ, იცით, რაზე? კუთხეზე — „ხალხთა ძმობის ენა — მეგობრობის ენა“, რომელიც რუსული ენის შესწავლაში გვეხმარება.

ჩვენი მეგობრებს მოეწონათ და მოგვწერეს ჩვენც ასე გაგავკეთეთ. ამ კუთხეში ორ წარწერას შეხვდებით: „წავიკითხე მშობლიურ ენაზე“, „წავიკითხე რუსულ ენაზე“. რუსული წიგნების გვერდნი მისი ქართული თარგმანებზე აწვიდა. ასე წავიკითხეთ ბონჩ-ბრუვერის „ლენინი და ბავშვები“, გე. გაბაშვილის „მადანას ლურჯა“, ნ. კრუსკაიას „ჩვენი უახლოესი მეგობარი“, ა. ჩხიშვილის „კამბანკა“, მიჭუნები“, „თორშობლა“. ენის შესწავლაში გვეხმარება აგრეთვე რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონები, ასევე გახუთებში — „ნორჩ ლენინელსა“ და „სოფლის ცხოვრებში“ გამოკვეთებულ „რუსული ენის გაკვეთილები“.

„შენ ქართული კარგად იცი, გაქვს ნიჭი და ალღო, მაგრამ რუსულ ენაში კი ჩამორჩები, ბალო!

თუ ახლავი არ ისწავლი — გეუბნები, დაბიჭვრე, გაიზრდები, შეუწხდები, დაინანებო შეიქ“ ჩვენი სასალბო პოეტის ოთხეტირე, შამშილის ვის სიტყვები განა მარტო ამ კუთხის დასამწველებლად ჰქვიდა, კველამ ზეპირად ვიკით.

„ქალაქ რიგის კვალისის ქუჩაზე მდებარე № 35 საბავშვო ბიბლიოთეკის ნორჩი მეგობრობისგანა“ — ასეთი წარწერა აქვს ი. ინტერესს ნაწარმოებს „წელაბარი პირველ კლასზე“. მავნე ბიბლიოთეკის „წიგნის მეგობრობის კლუბის“ წევრებმა გამოგზავნილი ენობილი ლატევილი მწერალი ქალის ზენტი ერგულს წიგნი „... რაცია ბიბლიონი“, იგი ლატევილი მავნეველ მოკვირობოს. მათ გვერდითათა აზერბაიჯანიდან, ყაზახეთიდან, ყირგიზეთიდან გამოგზავნილი წიგნებიც ასე განდა ჩვენს „დილას“ წიგნის თარო — „მეგობრები გვთავაზობენ“

„დილას“ დღეობაში წავამოკითხა ავთანდილმა

ამბობენ, დღეობები არავის არ უნდა წავაკითხოთ, შენთვის ჩუმაღუნდა შენიხასოო. ჩვენ კი ერთ აღბინას „დილას“ დღეობებში“ დაგავიფიქრე, მაგრამ ჩუმაღ რდი ენაწანათ: ვსხედვართ სამკითხველო დარბაზთან და ხშირად ერთად ხმამაღლა ვკითხულობთ.

ბევრი ამისი მთხრობელია ჩვენი „დილას“ დღეობები“. აი, თუნდაც; მეშვიდე სკოლა, მიეთხე მეშვიდე კლასი.

